



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მინისტრი



KA100149981293016

თბილისი

30 / ივნისი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/721

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების
შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის გ. მაჭავარიანის 2016 წლის 30 ივნისის N8836 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (პროგრამების საშუალოვადიან ბიუჯეტთან ერთად), დანართების შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2015 წლის 8 ივლისის N01/629 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 30 ივნისიდან.

მინისტრი

ტარიელ ხეჩიკაშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

1. პრიორიტეტის დასახელება - 39 01 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

1.1. პროგრამის დასახელება 39 01 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პროგრამის განმახორციელებელი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების, კვლევისა და ანალიზის შედეგად სპორტის პრიორიტეტული და სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში კანონშემოქმედებითი საქმიანობა, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, სამეცნიერო, სამედიცინო და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა, სამეცნიერო შეკრებების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მოწყობისა და სხვა შეხვედრების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

სპორტულ ორგანიზაციებთან (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი, კომიტეტი) თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობების, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების წარმოება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს სახელმწიფო მართვის მოქნილი და ეფექტიანი სისტემა; სფეროებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა; სპორტის პოპულარიზაციის დონე ქვეყანაში და სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა; პროფესიულ სპორტში მიღწეული შედეგები; შემოქმედებითი აზროვნების მქონე და სამოქალაქო აქტივობისათვის მოტივირებული ახალგაზრდობა;

განხორციელების ვადები მიმდინარე

2. პრიორიტეტის დასახელება 39 02 სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

2.1. პროგრამის დასახელება 39 02 01 ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2017-2020წწ;

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი

ქართული ფეხბურთის განვითარება, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა; ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების და მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში; მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება ეროვნული პირველობის ჩატარება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.2. პროგრამის დასახელება 39 02 02 რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი ქართული რაგბის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა. ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების და მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში, ეროვნული ასპარეზობების ჩატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები მოწესრიგებული სარაგბო ინფრასტრუქტურა: ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები; მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.3. პროგრამის დასახელება 39 02 03 კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი ქართული კალათბურთის განვითარება, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია, ეროვნული ნაკრები და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნა, შემდგომი წინსვლისათვის ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები; მოწესრიგებული საკალათბურთო ინფრასტრუქტურა;

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.4. პროგრამის დასახელება 39 04 04 სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები), საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები; მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები;

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.5. პროგრამის დასახელება 39 04 05 ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა

ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.6. პროგრამის დასახელება 39 02 06 საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა 2017-2020წწ.

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი ქვეყნის სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, საჯარო სკოლების ჩაბმა სპორტული-გასართობ თამაშებში. “სპორტის ყველასათვის” პროექტების რეალიზაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობა; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.7. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები 39 02 07 სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა 2017-2020წწ.

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. რეგიონებში სპორტული ცხოვრების განვითარება, სპორტული ინვენტარის, ეკიპირებისა და მოწყობილობების შექმნა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

განახლებული სპორტული ინვენტარი და რეაბილიტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა. საქართველოში სპორტის განვითარება, დიდი სპორტული ტრადიციების აღდგენა, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოზე მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევა. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდა.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.8. პროგრამის დასახელება 39 02 08 სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი ცენტრის ძირითადი მიზნებია: ა) სპორტის სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან ერთად განსაკუთრებული სპორტული მონაცემებითა და ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა და ცენტრში მოზიდვა საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადების მიზნით; ბ) ქვეყნის ეროვნული, იუნიორთა და კადეტთა ნაკრები გუნდების წევრებისათვის (სპორტის პრიორიტეტულ სახეობებში) საერთაშორისო დონის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა; გ) თანამედროვე სასპორტო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნის უზრუნველყოფა. სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

იუნიორთა და კადეტთა ნაკრები გუნდის წევრების მიერ ლიცენზიების და საპრიზო ადგილების დაკავება.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.9. პროგრამის დასახელება 39 02 09 სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი

პროგრამის აღწერა და მიზანი

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია; ყველა აღრიცხული ერთეულის ორიგინალებისა და სხვა მნიშვნელოვან ექსპონატთა ბაზაზე ძირითადი ფონდის, როგორც ქვეყნის ერთიანი სამუზეუმო ფონდის, შემადგენელი ნაწილის შექმნა; სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა; სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია; სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება; სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდის ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული ხელისუფლების დაწესებულებებთან თანამშრომლობა; პრევენციების, თემატური გამოფენების მოწყობა მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენებთან და/ან ისტორიული/საიუბილეო თარიღების დადგომასთან დაკავშირებით. ახალი ექსპონატების მოძიება და პირობების შექმნა ფასეულობების დაცვისთვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

სპორტული აქტივობის და პროფესიული სპორტის მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების, მათ შორის მოზარდი თაობის მკვეთრად გამოხატული ინტერესი და ჩართულობა; მუზეუმში ვიზიტორების ზრდა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ქვეყნების სპორტული წარსულის, მიღწევების ურთიერთგაცნობა, გაზიარება, კავშირების დამყარება და ურთიერთთანამშრომლობა.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.10. პროგრამის დასახელება 39 02 10 ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი

ქართული ჭადრაკის შემდგომი განვითარება საჭადრაკო აკადემიის განვითარება. ეროვნული, ასაკობრივი, ვეტერან მოჭადრაკე და ქალთა ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.11. პროგრამის დასახელება 39 02 11 სსიპ საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის განმახორციელებელი

სსიპ საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის აღწერა და მიზანი

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპისაგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები

მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრი, მაგისტრანტი) რეალიზება და შრომის ბაზრისთვის მაღალი კვალიფიკაციის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

განხორციელების ვადები მიმდინარე

2.12. პროგრამის დასახელება 39 02 12 სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საზოგადოებრივი სახელმწიფო კოლეჯი

პროგრამის განმახორციელებელი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საზოგადოებრივი სახელმწიფო კოლეჯი

პროგრამის აღწერა და მიზანი

სპორტსმენებისა და სპორტში მომუშავე სპორტული განათლების არმქონე ახალგაზრდობის კოლეჯში მოზიდვა პროფესიული განათლების მისაღებად; მივიწყებული სპორტული განათლების ტრადიციების აღორძინება; მათი ახალ სტანდარტებზე მორგება და დამკვიდრება; ეროვნული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვა; მოსახლეობის ფართო ფენებში ჯანსაღი სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. განვითარებაზე ორიენტირებული და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

სპორტის სფეროში არსებული პროფესიონალი კადრების (მწვრთნელების და მასწავლებლების) დეფიციტის აღმოფხვრა; სპორტული განათლებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის მიზნის ხელმისაწვდომობა.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.13. პროგრამის დასახელება 39 02 13 საქართველოში გასამართი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი

პროგრამა უზრუნველყოფს სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების საქართველოში მაღალ დონეზე მასპინძლობას. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სპორტის სწრაფ განვითარებას, მაღალი სპორტული შედეგების რაოდენობის გაზრდას, სპორტის პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. ასევე

ხელს შეუწყობს საერთაშორისო მასშტაბის ქვეყნის ცნობიერებისა და იმიჯის ამაღლებას, სპორტული ტურიზმის განვითარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მაღალ დონეზე ორგანიზებული საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; სპორტული ღონისძიებებში ჩართული ყველა აქტორის კოორდინირებული და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო დონეზე სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის კუთხით მაღალი რეპუტაციის მოპოვება. მაღალი დონის საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის უფლების მიღება.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

2.14. პროგრამის დასახელება 39 02 14 ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

პროგრამის განმახორციელებელი

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

პროგრამის აღწერა და მიზანი

ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება; ფეხბურთის კლუბებისთვის მდგრადი ფინანსური საფუძვლების შექმნა; კლუბების ფინანსური სტიმულირება; საფეხბურთო კლუბებისთვის საპრიზო და პრემიალური ფონდის დაწესება და განკარგვა; ფეხბურთის ჩემპიონატის ყველა ლიგის მატჩების მაღალ დონეზე ორგანიზების ხელშეწყობა; ფეხბურთის საკლუბო სისტემის გაუმჯობესება; საფეხბურთო განათლების ხელშეწყობა; ფეხბურთის მენეჯერების, მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის დონის ამაღლება; საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ფეხბურთელთა სამედიცინო სადაზღვევო პაკეტების სისტემის შემუშავება; ბავშვთა ფეხბურთის განვითარება; ფეხბურთის მასობრიობის გაზრდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები; პროგრამის შესაბამისად მკაცრად გაწერილი ბიუჯეტი, შემოსავლებსა და ხარჯების სწორად დაგეგმვა. სტაბილურად დაფინანსებული კლუბები და მინიმუმადე შემცირებული კრედიტორული დავალიანებები. კლუბებით კერძო სექტორის დაინტერესება; საფეხბურთო სკოლების და აკადემიების ხელშეწყობა, საფეხბურთო ფესტივალებისა და მასობრივი ღონისძიებების ხელშეწყობა, სატელევიზიო და მასმედიის მიერ ფეხბურთის გაშუქების თანადაფინანსება; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; საფეხბურთო ინდუსტრიის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

განხორციელების ვადები - მიმდინარე

3. პრიორიტეტის დასახელება - 39 03 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები.

3.1. პროგრამის დასახელება 39 03 01 ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების სტიპენდიები

პროგრამის აღწერა და მიზანი საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდირება.

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

უზრუნველყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები და პროზიორები ; უმაღლესი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული პრეტენდენტები

განხორციელების ვადები - მიმდინარე

3.2. პროგრამის დასახელება 39 03 02 ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარება

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებზე ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა; საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ ვეტერან სპორტსმენებზე ზრუნვა მომავალი თაობის სპორტული აქტივობის გამოწვევის, პროფესიულ სპორტში თაობების მაქსიმალური ჩართვისა და გამოვლენისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

სოციალურად უზრუნველყოფილი ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

3.3. პროგრამის დასახელება 39 03 03 საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიები

განმახორციელებელი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრების წევრთათვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისთვის და პერსპექტიულ სპორტსმენთათვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრები;

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

4.პრიორიტეტის დასახელება 39 04 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

4.1.პროგრამის დასახელება 39 04 01 ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

4.1.1.პროგრამის დასახელება - მონაწილეობის განვითარება;

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

პროგრამის აღწერა და მიზანი: პრიორიტეტის შესაბამისად სხვადასხვა ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვას, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ მათი ცოდნის ამაღლებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლება;

განხორციელების ვადები: 2017-2020წწ. მიმდინარე

ქვეპროგრამების დასახელება

- მოხალისეობის განვითარების პროგრამა;
- სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა;
- რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამა;
- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა.

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

- მოხალისეობის განვითარების პროგრამის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის შექმნა საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდობაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით, მოხალისეობის გარშემო დამკვიდრებული მცდარი სტერეოტიპების დანგრევა. საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უნაგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია.
- სტუდენტი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის მიზანს წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობების გააქტიურება და თვითმმართველობების რეფორმის მხარდაჭერა, ასევე საუკეთესო სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება;
- რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის, წახალისოს, მოახდინოს მათი სტიმულირება და ხელშეწყობა, რათა მათ მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია გააქტიურდეს ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის მხარდაჭერა.
- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაცია. ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლება, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების, აქტიური მოქალაქეობის, შემოქმედებითი უნარების განვითარება. პროგრამის მიზანია ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საზოგადოების ცხოვრებაში.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

4.1.2. პროგრამის დასახელება - განათლება, დასაქმება და მობილობა;

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

პროგრამის აღწერა და მიზანი: პრიორიტეტის შესაბამისად სხვადასხვა ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების განვითარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების განვითარება, საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სამსახურზე გადასვლის სისტემის განვითარება, ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, პროფესიული შესაძლებლობების ზრდა.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

ქვეპროგრამების დასახელება:

- არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა;
- მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა.

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

ქვეპროგრამის/ლონისძიებების აღწერა და მიზანი:

- არაფორმალური განათლების განვითარების პროგრამის მიზანია არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობა. ქვეყნის მასშტაბით არაფორმალური განათლების მწვრთნელების გადამზადება. ახალგაზრდულ ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა/განვითარება. მოხალისეობის ინსტიტუტის წახალისება/პოპულარიზაცია.
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ქვეყნის პრესტიჟის ამაღლება, საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო დონეზე ხელის შეწყობა, აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო რეგიონული თანამშრომლობის ახალგაზრდულ პროექტებში; ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, იმ ახალგაზრდული ორგანიზაციების წახალისება, რომლებიც საერთაშორისო დონეზე საქმიანობენ;
- მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია დაეხმაროს მოზარდებსა და ახალგაზრდებს გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში, პროფესიის არჩევის, კარიერის დაგეგმვის, კომპეტენციების ათვისების, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში შექმნილი ვებ-გვერდისა და სახელმძღვანელოს, სარეკომენდაციო მასალების, საკვლევი ინსტრუმენტების, საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვადასხვა პროფესიის შესახებ შექმნილი ვიდეორგოლების საშუალებით. ასევე, ხელი შეუწყოს მშობლების სწორი მიმართულებით ჩართვას ახალგაზრდების პროფესიული გადაწყვეტილების მიღების დროს.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

4.1.3. პროგრამის დასახელება - ჯანდაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

პროგრამის აღწერა და მიზანი: პრიორიტეტის შესაბამისად სხვადასხვა ქვეპროგრამებისა და ლონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას და ხელმისაწვდომობას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისა და დანერგვის ხელშეწყობა.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

ქვეპროგრამების დასახელება:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამა.

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი;

ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდობისათვის ისეთი გარემოს შექმნას სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ. პროგრამის ფარგლებში გაიმართება კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული აქტივობები, სტუდენტური დღეები, საგანმანათლებლო-ინტელექტუალური და სპორტული კონკურსები.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

4.1.4. პროგრამის დასახელება - სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა

განმახორციელებელი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი: პრიორიტეტის შესაბამისად სხვადასხვა ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საჭიროებების მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციას, ინკლუზიას და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი, რეკრეაციულ და სპორტული ღონისძიებებში ჩართვა, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამების დასახელება:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამა;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა,
- არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა;
- მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა.

ქვეპროგრამის/ღონისძიებების აღწერა და მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამის მიზანია შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზია, მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია, საქართველოს მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება შშმ პირთა თემასთან დაკავშირებით, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა.

განხორციელების ვადები მიმდინარე 2017-2020წწ.

4.2. პროგრამის დასახელება 39 04 02 სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

პროგრამის აღწერა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბიროს მიერ დადგენილი დასაფინანსებელი პრიორიტეტების შესაბამისი, ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების კონკურსის წესით გამარჯვებულის გამოვლენა, დაფინანსება, განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშის ჩაბარება. ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი და თავისუფალი აზროვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, მოქალაქის უფლებებისა და ვალდებულებების, საზოგადოების წევრებზე ზრუნვის იდეის დამკვიდრება

მოსალოდნელი შედეგები - დაფინანსებული პროექტებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

განხორციელების ვადები - მიმდინარე

4.3. პროგრამის დასახელება 39 04 03 სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

პროგრამის აღწერა პროგრამის ფარგლებში ოპერირებადი ახალგაზრდული ცენტრის მეშვეობით ახალგაზრდებს საშუალება ეძლევა ქვეყნის მასშტაბით განხორციელონ სხვადასხვა სახის ახალგაზრდული პროექტები, ჩაერთონ კულტურულ, სპორტულ შემეცნებით ღონისძიებებში.

მოსალოდნელი შედეგები განხორციელებული პროგრამები „მომავლის ბანაკი „და ახალგაზრდული ფესტივალი“

განხორციელების ვადები - მიმდინარე 2017-2020წწ.

4.4. პროგრამის დასახელება - 39 04 04 პროგრამა „მომავლის ბანაკი“

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლის თითო წარმატებული მოსწავლის შინაარსიანი და გონივრული დასვენების ორგანიზება
- ზოგადი ფიზიკური განვითარება
- კულტურული ღონისძიებები
- სპორტული შეჯიბრებები
- 21-29 წლის ახალგაზრდების ლიდერებად ჩამოყალიბება სპეციალური ტრენინგების გზით
- არაფორმალური განათლება
- შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები
- ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია
- ქვეყნის გარეთ მცხოვრები ქართველი მოზარდების ინტეგრაცია
- საგანგებო სიტუაციებში ქცევის და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლა და პროპაგანდა

2017 – 2020 წლის პროგრამა „მომავლის ბანაკი“-ის ფარგლებში ბანაკების პროგრამაში მონაწილეობის საშუალება მიეცემა 8000-ზე მეტ ახალგაზრდას მაქსიმალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, თითოეულ ნაკადში ახალგაზრდები წარმოდგენილნი იქნებიან საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამას გარდა, „მომავლის ბანაკი“ ითვალისწინებს „ნორჩი მაშველების“ პროგრამასაც, რომლის ფარგლებში ყოველ ნაკადზე მოეწყობა საგანგებო სიტუაციების მართვისა და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით. ამავე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გაცვლითი პროექტები სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი ტიპის ბანაკებში.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტების 8000 -ზე მეტი პირდაპირი ბენეფიციარი, რომლებიც დაეუფლებიან და ჩაერთვებიან:

- სპორტულ აქტივობებში;
- ჯანსაღი წესის დამკვიდრებისაკენ მიმართულ აქტივობებში;
- ახალგაზრდობისა და მოზარდების სამოქალაქო არაფორმალური განათლების პროგრამებში;

ხელი შეეწყობა:

- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობასა და მათ ინტეგრირებას;
- კულტურულ-შემეცნებით პროგრამებში ჩართულობასა და ნიჭიერი ახალგაზრდების პოპულარიზაციას.

ასევე, პროექტი გულისხმობს წარმატებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას შერჩევის კრტერიუმებიდან გამომდინარე.

განხორციელების ვადები - მიმდინარე 2017-2020წწ.

4.5. პროგრამის დასახელება - 39 04 05 პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი 2017 - 2020“

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი

პროგრამის მიზანია, მოზარდებსა და ახალგაზრდებს ყველანაირად შეეწყოს ხელი, რათა მიიღონ მათთვის საჭირო და აუცილებელი არაფორმალური განათლება, ზედმიწევნით იცოდნენ საკუთარი უფლებები, შეძლონ ნიჭის ფართოდ წარმოჩენა, შშმ მოზარდებთან ურთიერთობის დამყარება და მაქსიმალურად ჩაერთონ იმ კულტურულ-შემეცნებით-სპორტულ და სამოქალაქო განათლებისკენ მიმართულ აქტივობებში, ასევე სხვა მათთვის სასარგებლო ღონისძიებებში, რომელიც, უპირველესად, მათ განვითარებასა და სამომავლო წინსვლას შეუწყობს ხელს. პრობლემიდან გამომდინარე, აუცილებელია, მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტული აქტივობების, კულტურულ-შემეცნებითი, სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის პოპულარიზაციაზე. პროგრამის ფარგლებში გაიმართება კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სხვადასხვა სახის კონკურსები, მათი ინიციატივების ხელშეწყობისთვის აუცილებელი პროექტები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტებში 26700 ბენეფიციარის ჩართულობა:

- სპორტულ აქტივობებში;
- ჯანსაღი წესის დამკვიდრებისაკენ მიმართულ აქტივობებში;
- ახალგაზრდობისა და მოზარდების სამოქალაქო არაფორმალური განათლების პროგრამებში;

განხორციელების ვადები - მიმდინარე 2017-2020წწ.

